



ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N4-ში მდებარე შენობის
ფასადების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი

საკონკურსო დოკუმენტაცია

(CPV-71220000 - არქიტექტურულ დაპროექტებასთან დაკავშირებული მომსახურებები)

წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის #7 ბრძანების საფუძველზე

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის საბიუჯეტო სახსრებით

ქ. თბილისი

2015 წელი

1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში –სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების შესაბამისად.

1.2 კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

1.6 კონკურსში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მოითხოვება.

1.7 საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.

1.8 ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღ–ის გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.

1.9 პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

1.10 პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღ–ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღ–ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღ–ს გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღ–ის ოდენობა.

1.11 საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.

1.12 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

1.13 ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე, პრეტენდენტს უფლება აქვს, უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე.

1.14 საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი წონები.

1.15 საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში: ქ. თბილისი, მძებნი ზუბალაშვილების ქუჩა N48, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი.

საკონტაქტო პირები:

- კონკურსის მიმდინარეობის საკითხებზე – გვანცა ბერუჩაშვილი, ტელ: +995 599 555 785, ელ-ფოსტა: g.beruchashvili@tdf.ge
- ტექნიკური დავალების საკითხებზე – ნინო ნოზაძე, ტელ: +995 593 955 664, ელ-ფოსტა: n.nozadze@tdf.ge

2. ტექნიკური დავალება სისტემაში ატვირთულია ცალკე.

- გამარჯვებული კონკურსანტი იღებს ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე მშენებლობის პროცესში „შემსყიდველის“ მითითებების საფუძველზე, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასწიოს კონსულტაცია, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან სხვა აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელოს საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება „შემსყიდველის“ მითითებების შესაბამისად გონივრულ ვადაში. ასევე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, „შემსყიდველის“ მითითებების საფუძველზე, შეიტანოს ცვლილებები პროექტში „შემსყიდველის“ მითითებების შესაბამისად, მსგავსი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
- კონკურსში გამარჯვებულებს გამოავლენს საკონკურსო კომისია.
- საკონკურსო კომისია კონკურსში მონაწილეთაგან გამოავლენს 1 (ერთ) გამარჯვებულს, რომელთანაც შემსყიდველი ორგანიზაცია უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას.
- მიწოდების ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N48, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი.
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ფასი შეადგენს **20 000.00 (ოცი ათასი) ლარს** დღგ-ს გარეშე.
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1.5 (თვენახევარი) თვისა.
- შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი და „მიწოდებელი“.
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 10 საბანკო დღის განმავლობაში.

3. სისტემაში ასატვირთი დოკუმენტები:

3.1 გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები:

- 3.1.1 პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება, ანალოგიური სახის პროექტებში მონაწილეობა, თანაავტორობა და ა.შ. (შესრულებული პროექტების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები);
- 3.1.2 ინფორმაცია ძირითადი მონაწილეების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (არქიტექტორი, არქიტექტორ-რესტავრატორი, ხელოვნებათმცოდნე, კონსტრუქტორი და ა.შ.);

3.2 სადემონსტრაციო მასალა:

- 3.2.1 შენობის არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება;
- 3.2.2 ძეგლის დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
- 3.2.3 ძეგლის არსებული მდგომარეობიდან და დაზიანებებიდან გამომდინარე, მისი გაჯანსაღებისათვის აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი და კვლევითი-საპროექტო სამუშაოების განხორციელების ეტაპობრიობა;

3.2.4 ძეგლის საჭიროებებიდან გამომდინარე ყველა მომიჯნავე დარგის სპეციალისტის რეკომენდაციები ძეგლის მდგომარეობისა თუ მხატვრულ-ისტორიული ღირებულების გათვალისწინებით დასაშვები ჩარევის შესახებ;

3.2.5 სამუშაოების ჩატარების გეგმა-გრაფიკი.

3.3 რეკვიზიტები დანართი №1.

3.4 ინფორმაცია მიწოდების ვადის თაობაზე

4. საკონკურსო წინადადების შეფასების კრიტერიუმები:

3.1 ხარისხის ჯამური შეფასების კოეფიციენტი შეადგენს - 0,8;

3.2 საკონკურსო წინადადების ფასის კოეფიციენტი - 0,2

5. საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

#	შეფასების კრიტერიუმები	კოეფიციენტი
	1) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალა (შენიშვნა: არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს).	0,4
	2) გამოცდილება (შენიშვნა: არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს).	0,4
	3) მიწოდების ვადა (შენიშვნა: თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს.)	0,2

შენიშვნა:

– კრიტერიუმების შეფასებისას კომისიის ყოველი წევრი ცალ-ცალკე აფასებს კრიტერიუმს 0-10 ქულიან დიაპაზონში, ხოლო საბოლოო შეფასება განისაზღვრება კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.

6. ხელშეკრულების პროექტი:

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №15-----

71220000 - არქიტექტურულ დაპროექტებასთან დაკავშირებული მომსახურებები

ქ. თბილისი

----- 2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი (მის: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №48, ს/კ 404384974, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, GE24NB0330100200165022, ტელ: 0322470014) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი ბაიდარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, -----, (მის: -----), ს/კ -----, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს -----, ბანკის კოდი -----GE22, ა/ა GE-----, ტელ: -----) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. N4-ში მდებარე შენობის ფასადების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტი.

2.2 შესყიდვის საშუალება: კონკურსი -----.

2.3 შესყიდვის საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10² მუხლისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის #7 ბრძანება.

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.5 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

2.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

2.7 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის საბიუჯეტო სახსრები;

2.8 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2015 წლის ----- ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ხარისხი და გარანტია

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 1.5 თვისა.

3.2 შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკურ დავალებას.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საბოლოო პროდუქციის სახით წარმოადგინოს დამუშავებული დოკუმენტაცია შემდეგი სახით: მყარი ასლები – ალბომი- 4ეგზ, ელექტრონული ფორმატი (ვექტორული dwg, dxf, pla, rvt გაფართოების ფაილი, ასევე კონვერტირებული PDF), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4ეგზ.).

3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48.

3.4 შესასყიდი ობიექტის ხარისხი უნდა იყოს მაღალი, ტექნიკური პარამეტრები შეესაბამებოდეს საკონკურსო მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ და მოქმედ სტანდარტებს.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

4.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

- ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
- ბ) განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
- გ) მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.
- დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- გ) დამატებითი ანაზღაურების გარეშე განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა;
- დ) საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე მშენებლობის პროცესში „შემსყიდველის“ მითითებების საფუძველზე, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასწიოს კონსულტაცია, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან სხვა აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელოს საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება „შემსყიდველის“ მითითებების შესაბამისად გონივრულ ვადაში. ასევე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, „შემსყიდველის“ მითითებების საფუძველზე, შეიტანოს ცვლილებები პროექტში „შემსყიდველის“ მითითებების შესაბამისად, მსგავსი მოთხოვნებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

ე) გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

ვ) პროექტის შედგენამდე მოახდინოს იმ არსებულ შენობა-ნაგებობებზე ზემოქმედების შეფასება, რომლის მომიჯნავედაც დაგეგმილია მშენებლობა. იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილმა სამშენებლო სამუშაოებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ მდგრადობაზე, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ამ შენობა-ნაგებობის მდგრადობის გამოკვლევა.

ზ) შემსყიდველის შეტყობინებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას წუნი/ხარვეზი ან/და შეიტანოს ცვლილებები/დამატებები პროექტში შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

4.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

4.6. პროექტი და თანდართული მასალები გადადის შემსყიდველის საკუთრებაში. შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

4.7 აუცილებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი აცხადებს თანხმობას შემსყიდველმა შეიტანოს ცვლილებები პროექტში. აღნიშნული დებულება ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად გაცემულ ნებად.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

5.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულებაზე ინსპექტირების განხორციელების მიზნით გამოყოს უფლებამოსილი პირები.

5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება შესასყიდი ობიექტი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტი ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო შესასყიდი ობიექტის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს აღნიშნული უხარისხო ობიექტის ღირებულება.

6 მიღება - ჩაბარების წესი

6.1. შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ შესასყიდი ობიექტის წარმოდგენიდან 14 კალენდარული დღის ვადაში.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით და ბეჭდით.

6.3 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

6.4 შესასყიდი ობიექტის მიღებას აწარმოებს ფონდის უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

6.5 თუ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღი დაემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლოა განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

6.6 თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

6.7 შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

6.8 თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშაოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

6.9 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით მიწოდებული, ან უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე.

7 ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

7.2. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.4. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

7.5. მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

7.6. შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.3. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.4. თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების ვადის დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო დამრღვევ მხარეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.5. მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამოერთმევა სრულად.

8.6. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს-მაჟორი

9.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.4. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებებით, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.5. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

11.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორების აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორების დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

11.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

12. სხვა პირობები (ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა)

12.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

12.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12.5 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.6. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება (მთლიანად ან ნაწილობრივ), თუ:

ა) მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებელი შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

გ) მიმწოდებელი მხარეთა შეთანხმებით გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) მიწოდების ვადის 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ვ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას.

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.5. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.6. წინამდებარე ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

12.7. მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.

12.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

13. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

თავმჯდომარე

გიორგი ბაიდარაშვილი

მიმწოდებელი

დირექტორი

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის

ნომერი: ელექტრონული

მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა-----

ბ.ა.